



ა.წ. 15 ივნისს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტის “ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის “ფარგლებში (პროექტის ავტორები: თამარ პაიჭაძე, კახაბერ ლორია, ნინო მინდიაშვილი) სტუდენტთა მე-2 რეგიონთაშორისი კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციის მუშაობაში თხუთმეტმა უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობამ და პროფესორებმა.

პლენარულ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. შოთა ახალაია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები: ნინო მინდიაშვილი, ნანა კუცია.

სექციის ხელმძღვანელებად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიწვეულნი იყვნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი პროფ. ელგუჯა ქავთარაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მამული ბერია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები ნინო მინდიაშვილი, ნანა კუცია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ დამსწრე საზოგადოების წინაშე.

**ჰუმანიტარული ფაკულტეტიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართული ლიტერატურის მიმართულების მაგისტრანტები მოხსენებებით:**

1) ნინო გაბუნია ”გენდერული თანასწორობის საკითხი ქართულ ლიტერატურაში“- ხელმძღვანელი პროფ. ნინო მინდიაშვილი.

2) ნათია მესხია “მითოლოგიური ნაკადი მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრის ქართულ რომანში“- ხელმძღვანელი პროფ. ნინო მინდიაშვილი.

3) მარიამ ჭანტურია”აფხაზეთის ომის თემა გურამ ოდიშარის შემოქმედებაში” ხელმძღვანელი პროფ. ნინო მინდიაშვილი.

4) თეა ბალათურია”ომისდროინდელი სოფელი-მე 20 საუკუნის ქართულ პროზაში“- ხელმძღვანელი პროფ. ნინო მინდიაშვილი.

5) თამუნა კვაჭანტირაძე ”ჭაბუა ამირეჯობის “გორა მზორგალის” გააზრებისათვის- ხელმძღვანელი პროფ. ნინო მინდიაშვილი.

6) მარიამ გოცაძე “2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და ქართული მწერლობა“- ხელმძღვანელი პროფ. ნინო მინდიაშვილი.

**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები მოხსენებებით:**

1) ამირან ლაფაჩიძე. მაგისტრატურა. ”კონფლიქტის მოგვარების ეკონომიკური ბერკეტები“- ხელმძღ. პროფ. ელგუჯა ქავთარაძე.

2) თათია ჩაფიჩაძე. ბაკალავრიატი. ”ოჯახური კონფლიქტი, ძალადობა და გენდერი 21-ე საუკუნის საქართველოში” -ხელმძღ. პროფ. მაკა დოლიძე.

3) ანუკი წიწილაშვილი. ბაკალავრიატი. ”ვის სასარგებლოდ დაიდა ჰაიდი ტალიავინის დასკვნა“- ხელმძღ. პროფ. მაკა დოლიძე.

4) ქეთი ბერაძე. ბაკალავრიატი. ”ფსიქოლოგია ხელოვნებისა და რელიგიის კვალდაკვალ“- ხელმძღ. პროფ. კახი კოპალიანი.

5) მარიამ აბულაძე. ბაკალავრიატი. ”კონფლიქტი, როგორც სოციალურ- ფსიქოლოგიური ფენომენი” -ხელმძღ. პროფ. ლია სვანიძე.

6) ლევან დოსშიშვილი. ბაკალავრიატი. ”საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს სახელმწიფოებრიობაში” -ხელმძღ. პროფ. დალი გაბისონია.

კონფერენციის ბოლოს მონაწილეებს დიპლომები გადაეცათ.